ფონდი ოპისი საქმე ფურცელი

287 1 183

287 1 183

16.01.2025

ენი საუკუნის ათონელი

ტო მასშტაბი, მან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი მეცნიერული აზროვნების მიზანდასახულებაც. მისი იდეებისა და კონცეფციების ხასიათი, მისი დემოკრატიზმის და ჰუმანიზმის სიღრმე. ავიღოთ თუნდაც მისი, როგორც ელინისტის კონცეფცია — ბერძენი ხალხის სულიერი ისტორიის აღქმა, როგორც ერთიანი, მთლიანი, განუკვეთელი, უწყვეტი პროცესისა (იგი გატარებულია მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეულში), ეს არის ერთადერთი მართებული კონცეფცია, რომელიც მხოლოდ დღეს იწყებს რეალურად დამკვიდრებას ელინისტიკის დიდ მსოფლიო ცენტრებში. სიმონ ყაუხჩიშვილისათვის თანაბრად ახლობელი და მომხიბლავი იყო ანტიკური მითის ფილოსოფიური და სიმბოლური შინაარსიც, ბიზანტიური პოეზიისა და ფერწერის ესთეტიკაც და ახალი ბერძნული კულტურის კოლორიტიც.

ახალ მეცნიერულ მიმართულებათა ჩამოყალიბება გულისხმობდა ადამიანთა, მეცნიერთა ჩამოყალიბებას. ეროვნული მეცნიერების ამოცანათა, ახალი დროის გადაუდებელ მოთხოვნათა შესრულებას დიდად უწყობდა ხელს ბატონი სიმონის საუცხოო პედაგოგიური ნიჭი. მისთვის, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების მაღალ ტრადიციებზე აღზრდილისათვის, დამახასიათებელი იყო ნათელი და ლოგიკური მსჯელობა მრავალსიტყვაობის, სიტყვებით თავმომწონეობის გარეშე. მისი სიტყვა ყოველთვის ემსახურებოდა აზრის გამოხატვას მკაფიოდ, ნათლად და ამავე დროს ყოველთვის — ემოციურად, ასევე ნათლად, ემოციურად არის დაწერილი მისი სახელმძღვანელოები.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობა მას არ აძლევდა ლექციების კითხვის საშუალებას, მაგრამ ქართველ სტუდენტობა არც ერთ დღეს არ დარჩენილა სიმონ ყაუხჩიშვილის გარეშე, რადგან მას ხელთ ჰქონდა მისი შესანიშნავი სახელმძღვანელოები ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისა, ბიზანტიის ისტორიისა, ლათინური ენისა. საქართველოს უმაღლეს სკოლებში რამდენიმე დისციპლინა ისწავლება მხოლოდ მის მიერ შექმნილი წიგნებით.

ბატონი სიმონის საგანგებო დამსახურებაა, უდაოდ, შექმნა ახალი სამეცნიერო დარგისა, რომელსაც ეწოდება ქართულ-ბერძნული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა. ამ დარგში მის მიერ შექმნილია დიდმნიშვნელოვან შრომათა მთელი წყება, დაწყებული ახალგაზრდობის წლებში IX საუკუნის ბიზანტიელი ავტორის გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ პუბლიკაციით. აღსანიშნავია, იოანე პეტრიწის თხზულებათა ორტომეული (ბაღვა ნუცუბიძესთან ერთად), პეტრიწონის ტიპიკონის ბერძნული ტექსტის პუბლიკაცია, (ქიოსური რედაქცია), ხოლო განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული „გეორგიკა“ — სერია კრებულებისა, რომლებშიც თავმოყრილია და თარგმნილია ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ამ სერიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის კვლევისათვის, რასაც სიმონ ყაუხჩიშვილმა უდიდესი სამსახური გაუწია ავრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ახალი, მაღალმეცნიერული პუბლიკაციით.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ არ იქნება მართებული, ვილაპარაკოთ ბატონ სიმონზე, როგორც ქართულ-ბერძნული ურთიერთობის მარტოოდენ მკვლევარზე. თავისი მოღვაწეობის გაქანებით იგი თვითონ იყო ამ ურთიერთობის თვალსაჩინო მოღვაწე, მისი ახალი ეტაპის, მისი ისტორიის ახალი ეპოქის შემოქმედი. პირდაპირ ვთქვათ: ათონელების შემდეგ ქართულ-ბერძნულ კულტურულ კავშირს არ ჰყოლია ასეთი სიმაღლის ფიგურა, როგორიცაა სიმონ ყაუხჩიშვილი.

ასეთი ღვაწლი ტოვებს უღრმეს, წარუშლელ კვალს მადლიერი ქვეყნისა და ერის ხსოვნაში.

ალექსანდრე ალექსიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კარს მოგვადგა „თბილისობა“

„ახალი ქართული ლიტერატურა", 1985, 24/X, № 128

ყოველ საღამოს შვიდი საათიდან

თბილისის საჭადრაკო ცხოვრებას თითქოს მეტნაკლებად ვიცნობ, მაგრამ გვიანი შემოდგომის იმ თბილ საღამომდე არაფერი ვიცოდი და ვერც ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ საჭადრაკო სამყაროში ნაბეღლავისა და მალთაყვის საერთაშორისო ტურნირებიც არსებობდა. ხოლო ამ ტურნირების ერთპიროვნული გამარჯვებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი თოფურია თითქმის ყოველ საღამოს თბილისში, გამარჯვების პარკში, დიმიტრ ახსენებს ხოლმე თავის საინტერესო საჭადრაკო თავგადასავლებს მეგობარ მეცნიერთა საკმაოდ წარმომადგენლობით საკრებულოში.

თუ შემთხვევით დაინტერესდებით და მოსაუბრებს მიაყურადებთ, გაიგებთ, რომ ბატონ აკაკის ნაბეღლავში ამ რამდენიმე წლის წინათ მატჩი მოუგია ბულგარელი მოჭადრაკისათვის და რადგანაც ორი ერის წარმომადგენელს შორის გამართული მატჩის საერთაშორისოდ ჩათვლა შეიძლებოდა, გამარჯვებულს კურორტის დირექციის მიერ გაცემული ბეჭდით დამოწმებული ცნობა წამოუღია ყოველი შემთხვევისთვის, ხომ შეძლებოდა თბილისში ზოგ ურწმუნო მეგობარს არ დაეჯერებინა. რაც შეეხება მალთაყვის საერთაშორისო ტურნირს, მასზე მხოლოდ ზეპირი გადმოცემები არსებობს. ბატონ აკაკის საჭადრაკო დებიუტების თეორიაში ერთ-ერთ „გადაღეჭილ" ვარიანტში სრულიად ახალი და აქედან გამომდინარე, მოულოდნელი სვლა გაუკეთებია. რამდენიმე სვლის შემდეგ მეტოქეს უიმედო წინააღმდეგობა შეუწყვეტია და გამარჯვებულისათვის უკითხავს — თეორიაში, უფრო სწორად, იუგოსლავიის საჭადრაკო ენციკლოპედიაში ეს სვლა ცნობილი თუ არისო? „ჩემო ბატონო, მაგ სვლით მე შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე საუცხოო კურორტის მალთაყვის დიდ საერთაშორისო ტურნირში გადამწყვეტი პარტია მოვიგე და პირველ ადგილზე გავედიო", — ქართველ მოჭადრაკეს მეტოქისათვის ორიგინალური სიახლის თანაავტორობის იმედიც გადაუწურავს და დამაჯერებლობა რომ შეემატებინა თავისი პასუხისათვის, წელიც კი დაუსახელებია, ბერე თურმე დიდხანს ამაოდ ეძებდა ის მოჭადრაკე მალთაყვის საერთაშორისო ტურნირის შედეგებს და მოჭადრაკე თოფურიას გვარს ფიდეს რეიტინგ-ლისტში, ბაგრამ... „რას იპოვიდა, ბატონო, როცა საერთაშორისო ტურნირებში თამაშს კარგა ხანია თავი დავანებე და რეიტინგ-ლისტიდან, ბუნებრივია, ჩემი გვარიც ამოიღეს" — იცინის ბატონი აკაკი.



ხუმრობა იქით იყოს და თხუთმეტ წელზე მეტია, თითქმის ყოველ საღამოს თბილისში, გამარჯვების პარკში, შვიდი-რვა საათიდან იკრიბებიან „სტაჟიანი" ჭადრაკის მოყვარულები, ძირითადად მეცნიერები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: იური კაჭარავა, მამია დუმბაძე, აკაკი სურგულაძე; პროფესორები: გერასიმე ფირცხალავა, დავით ლაშქარაძე, ნიკოლოზ კობახიძე, გოგიტა საყვარელიძე, ლევან ეგანოიძე, გოგი ალექსიძე, დიმიტრი კალანდაძე, ელგუჯა ქვათაძე, რევაზ სიგუა, აკაკი თოფურია, იროდიონ მაჩაიძე; დოცენტები: ალექსანდრე წერეთელი და რევაზ სხილაძე...

—ჩვენი ფედერაციის ყველა „ცნობილი მოჭადრაკე" დავასახელეთ და თუ ვინმე ისეთი გამოგვრჩა, იმედია არ გვიწყენს, — ამბობს პროფესორი იური კაჭარავა.

ჭადრაკის მოყვარულთა ამ კომპეტენტურ და წარმომადგენლობით საკრებულოს ჰყავს თავისი „ფიდე", რომლის უცვლელი პრეზიდენტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი გერასიმე ფირცხალავა, ვიცეპრეზიდენტია პროფესორი დავით ლაშქარაძე — გოეთეს საზოგადოების პრეზიდენტი. „ყველა წოდება ლაშქარაძემ მიისაკუთრა", — ჩვენიან მეცნიერები. ისე კი, რომ დაინტერესდეთ და იკითხოთ, როდის აირჩიეს თავიანთი „ფიდე" და მისი ხელმძღვანელობა, ვერავინ გიპასუხებთ, მაგრამ იმას კი ერთხმად ამბობენ, ფიდეს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი ჩვენთან შეთანხმებით რომ მოქმედებდეს, საქმეები უკეთესად მოგვარდებაო.

ჭადრაკის ჭომაგ მეცნიერებს კარგად ახსოვთ ის დაუვიწყარი და განუმეორებელი საღამოები, როცა ჭადრაკს პარკის მიმდებარე მთის ზედა კალთებზე დანთებული კოცონის ირგვლივ გვიანობამდე თამაშობდნენ. მაშინ უფრო ახალგაზრდები იყვნენ. ბევრმა წუალმა ჩაიარა მას შემდეგ. მერე და მერე, როცა მთის კალთები მწვანე სამოსით დაიბურა, მეცნიერებმაც ქვემოთ გადაინაცვლეს. პარკის ხელმძღვანელობამ მათ რამდენიმე მაგიდა და საჭადრაკო ინვენტარი გამოუყო, მაგრამ საერთოდ მაინც არახელსაყრელი პირობებია იმისათვის, რომ ყოველგვარ ამინდში სუფთა ჰაერზე რამდენიმე პარტია მშვიდად თამაშონ, ერთურთი მოიკითხონ, ისაუბრონ. ერთი სიტყვით, ნაჯაფი დღის შემდეგ დაისვენონ და მომდევნო სამუშაო დღისთვის განეწყონ.

...ყოველ საღამოს შვიდი-რვა საათიდან იკრიბებიან ისინი გამარჯვების პარკში. თამაშობენ გვიანობამდე. მართლაც, სანახაობაა მათი საჭადრაკო ორთაბრძოლები. ზოგჯერ რომელიმე განგებ გააკეთებს უსწორო სვლას. „კაცო ცხენი ასე რომ არ მიდის?" გაოცდება მოწინააღმდეგე და ფიგურის უკან დაბრუნებას შეეცდება. „ხომ წავიდა, ბატონო?" მეორე მხარე ცდილობს მაინც არ დაუთმოს, მაგრამ მისი სიტყვები საერთო სიცილში ჩაიკარგება. ზოგჯერ კი სავანგებო მოთვალთვალეს დაუნიშნავენ დოცენტ ალექსანდრე წერეთელს, რომელსაც რატომღაც ძალიან ჰყვარებია მოკლული ფიგურების მალულად გაცოცხლება. შერე არის ერთი ფიცი და მტკიცება, იდგა ეს ფიგურა იქ, სადაც დგას, თუ... ზოგჯერ პარკის უცვლელი ჩემპიონი, პროფესორი აკაკი თოფურია ლამაზად მოიგებს პარტიას და, რა თქმა უნდა, ხუმრობის შანსს არ გაუშვებს ხელიდან: „მე, რაც სამოცი წელი შემისრულდა, ჭადრაკში იმის მერე გავიფურჩქნეო". უფრო ხშირად კი, და ეს მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, სერიოზული კამათი იწყება საჭადრაკო სამყაროს საინტერესო პერიპეტიებზე და მაშინ სეფე-სიტყვა ცნობილ ისტორიკოსს, ძველი კულტურის ისტორიის აღიარებულ მკვლევარს, აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს ეკუთვნის. მას ხომ მეგობარ კოლეგათაგან ჭადრაკის ტრფიალის ყველაზე სოლიდური სტაჟი აქვს — ნახევარი საუკუნეა მან გატაცებისათვის არ უღალატია.

...და ასე გრძელდება ყოველდღე. ალბათ მსოფლიოს ვერცერთი დიდი საჭადრაკო ქალაქის ვერცერთი კულტურისა და დასვენების პარკი იამაყებს ასეთი ჭადრაკის ერთგული მოთაყვანებით, ძნელი დასაჯერებელია, არა? ბატონი ბრძანებით, შეიძლება. თბილისში, გამარჯვების პარკში, ყოველ საღამოს (თუ ქვეყანას წარღვნა არ ემუქრება) შვიდი-რვა საათიდან...

გიგლა გოგეჩია

სურათებზე: აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე; თამაშობენ პროფესორები აკაკი თოფურია და გოგი ალექსიძე.

გიორგი ცაგარელის ფოტოები.